

1914



№ 23

8 თიბათვე 1914 წ.

ქართული
ბიბლიოთეკა

გიორგი ბერიძის მოწვევა

წლიური ფასი

== 3 მან. ==

სოციალ-დემოკრატიული საზოგადო-თაობის


ფიური და სალიტერატურო შურონი

წელიწადი მფსამე

ცალკე ნომერი 5 კაპ.

რედაქცია ღიაა 9-3 საათ.

მისამართი: თბილისი, გაბაევსკიი პერ. № 3 რედაქცია „კლდე“. დეპოზისა: თბილისი კლდე.



† ალექსანდრე ივანეს
ძე სარაჯიშვილი დაიბადა

1851 წ. გარდაიცვალა 1 თიბათვეს

1914 წ. რედაქცია ღრმა მწუხარე-

ბით მიუსამძიმრებს მკითხველთ მკირ-

ფასი თანამშრომელის გარდაცვალე-

ბას.



ს ა რ ჩ ე ვ ი :

1. † ალექსანდრე სარაჯიშვილი. — ალ. ყიფშიძისა.
2. კიდეკერი. — დ. კ — ლისა.
3. ნეკრძელი. — ირ. სონღულაშვილისა.
4. პატარა პანკაძე. — ს. — სა. ბიზ. ბიზნესი.
5. სტენის მოღვაწეთა პირველი ერთობა. — ანისა.
6. უკანასკნელი ამბები.
7. კომუდა. — ნაცარასი.
8. „სახალხო გაზეთი“ და ჩვენი დაწესებულებანი. — რ. გ — ესი.
9. წერილები გაბრიელ კვიციანიძისა.
10. წერილი რედაქციის მიმართ.

† ალექსანდრე სარაჯიშვილი

(შეგობარი შეგობარს)

სამშობლო ისტორია გვედრს ვერ აუხვევს განსვენებულ ალექსანდრე სარაჯიშვილის ღვაწლსა და მოქალაქობას. უეჭველია, თავის დროზე იგივე ისტორია იმასაც გამოიძიებს და გააშუქებს, თუ რა გარემოებამ მიიყვანა ეს დარბაისელი ქართველი იმ უფსკრულამდე, რომელსაც პესსიმიზმს უწოდებენ.

ახლო შეგობრებმა კარგად ვუწყოდით, რომ ალ. სარაჯიშვილი დიდი, ღრმა პესსიმიტი იყო. იქნება ბევრს ეუცხოვოს ასეთი დახასიათება განსვენებულისა, მაგრამ ეს შეურყეველი ჭეშმარიტებაა.

ალექსანდრეს არა სწამდა ბრწყინვალე მომავალი საქართველოსი, არა სჯეროდა მისი აღდგენა მკვდრეთით, განახლება, გაფურჩქვნა. გული ჰქონდა მოშხამული ამ დამღუბველის პესსიმიზმით. მის ჩათხრობილს გულს, ლამაზ სახეს, გონიერ შუბლს და იერს არ აღხობდა ის ტკბილი ოცნება, რომელიც სამშობლოს მომავალს გარს დასტრიალებს, როგორც ფარვანა სანთელს. ბილწს აწმყოს თვისი სიბილწე მაშინ ეკარგება, თუ ადამიანი სავსეა ამ ტკბილის ოცნებით. გაამეფეთ მის ადგილზე პესსიმიზმი, და მაშინ აუცილებელია ნამდვილი ტრაგიზმი.

აი სწორედ ასეთს ტრაგიზმს განიცდიდა განსვენებული ალექსანდრე.

მაშ რა ახალისებდა განსვენებულს, რა აძლევდა ძალასა და ღონეს სამოქმედოდ და სამოქალაქოდ? წარსულის სიყვარული. მომავალის არ შემწყნარებელს დიდად ჰქონდა შეწყნარებული სამშობლოს წარსული, უყვარდა იგი, იქ ჰპოვებდა შვებას

და ლხენას. მისი ფიქრი და გონება სწორედ ამ წარსულს დასტრიალებდა თა თავს ევლებოდა.

საოცარი ნაყოფი გამოიღო წარსულის ასეთმა ტრფიალმა. ალ. სარაჯიშვილის წყალობით დღეს ქართველ ერს აქვს საუცხოვო ეროვნული მუზეუმი. იგი დაიბადა ქაოსიდან, არარაობიდან. მოგეხსენებათ, რომ უსაღსრობა ჩვენში ყველაფერს უცარავს ხელს. ალექსანდრემ დასძლია ეს სენი, გადალახა ეს უძლეველი დაბრკოლება და გაჩნდა საღსარი.

ჩვენი ეროვნული მუზეუმი დღეს იმ დონეზეა დაყენებული, რომ თამამად შეგვიძლიან მითი ვიამაყოთ. იგი უკვე მიჩნეულია მეცნიერების ტაძრად. ბევრია ჯერ კიდევ გასაკეთებელი, მაგრამ რაც გაკეთებულია წინაშე მუხლი მოვიდრიკოთ და იმედიანად ვუცქიროთ მომავალს.

ეროვნულ მუზეუმის გაჩენაში და შემდეგ მის მოვლა-პატრონობაში, გამდიდრება-აყვავებაში ალ. სარაჯიშვილი მარტო არ იყო. ალექსანდრეს გარს ეხვია ღირსეული ამხანაგობა, აი თუნდ ე. ს. თაყაიშვილი, მაგრამ გულახდილად უნდა ვაღვიაროთ, რომ ამ დიდის საქმის სულის ჩამდგმელად განსვენებული იყო. იგია მიმრქმელი ემბაზიდან ქართულ ეროვნულის მუზეუმისა.

ნათქვამიდან სჩანს, თუ ვინ დაჰკარგა საქართველომ.

ჩვენ პირადად გვრწამს, როგორც ბრწყინვალე მომავალი სამშობლოსი, აგრედვე ისიც, რომ მუზეუმს გამოუჩნდება ალექსანდრესთანა მოსიყვარულე ძიძა, მისებრ დიდი მოამაგე, გულშემატკივარი და სიყვარულით აღფრთოვანებული ჭირისუფალი, მაგრამ გული მაინც ჰკვნესის, რომ ნორჩს და სათუთს

დაწესებულებას უდროოდ მოაკლდა მოსიყვარულე ხელი ალექსანდრესი.

მაშ განისვენე სამშობლო მიწაში ტკბილად და შვებით კარგო ქართველო, დაუვიწყარო ალექსანდრე.

ალექსანდრე ყოფშიძე.

ტფილისი
4 ივნისი 1914 წ.

კიდევ ერთი...

ოთხშაბათს 4 ივნის, დილით, მრავლად დამსწრე ქართველობამ წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზედ მიწას მიაბარეს ძვირფასი გვამი ცნობილ მოღვაწე ა. ი. სარაჯიშვილისა. ქართველ მშრომელ მოღვაწეთა პაწია ლეგიონს კიდევ ერთი თვალსაჩინო მებრძოლი მოაკლდა: ა. ი. სარაჯიშვილს უზომოდ უყვარდა თავისი სამშობლო, ქართველი ერი და გატაცებული იყო მისი დიდებული წარსულით. არა ერთხელ ამბობდა: „ქართული ისტორია — ჩვენი სკოლა და აკადემიაა. საჭიროა მისთვის დიდებული ტაძარი გავაშენოთ, სადაც ჩვენ ჭკუასაც ვისწავლით და საიდანაც ამოვკრებთ ძალას ცხოვრებისათვის...“

ამბობდა და დაულაღვად მუშაობდა ამის განხორციელებისათვის. სიყვარული ამ საქმისადმი მოთმინება და მშვიდი დაულაღავი შრომა განსვენებულ ა. ი. სარაჯიშვილისა საუცხოვო და სამაგალითო იყო. და აკი მიაღწია თავის საწაღელსაც. დღეს ქართულ მუზეუმის საქმე უზრუნველ ყოფილია და მისი აშენებაც ახლო მომავლის საქმეა.

დიდი კაცი მოაკლდა ქართულ ერის ჭირისუფალთა რიგს: ისტორიკოსი, ლიტერატორი და პუბლიცისტი.

ჩვენს პაწია ჟურნალსაც მოაკლდა თვალსაჩინო მასწავლებელი — თანამშრომელი. დიდის თანაგრძნობით ეკიდებოდა განსვენებული ჩვენს პატარა საქმეს და მუდმივ გვეშველებოდა რჩევით და წერილებით. მისი მახვილი ესკიზები „რიშ ბაბას“ ფსევდონიმით ქართველ მკითხველს არა ერთხელ მოაგონდება.

ა. ი. სარაჯიშვილი გადაიცვალა სწორედ იმ დღეს, როდესაც მისი ისტორიული გამოკვლევა

„თავადიშვილის მეურნეობა ამ ასი წლის წინად“ წარსულ კვირას დამთარდა ჩვენს ჟურნალში.

გადაიცვალა ფილტვების ანთებისაგან, რადგანაც გაცივდა წვიმიან დღეს, როდესაც სიციხიანი მიეშურებოდა მუზეუმის რაღაცა საჭირო საქმისათვის.

გადაიცვალა ცხარე მუშაობის დროს...
სიკვდილის წინ ერთი სურვილი განაცხადა: დამმარხეთ უსიტყვოდ და უგვირგვინოთ!
ასე მოკვდა ერთ-ერთი ძველი ქართველი ლეგიონერი ა. ი. სარაჯიშვილი.
კიდევ ერთი...

დ. კ — ლი.

ნ ე კ რ ო ლ ო გ ი

წარსულ კვირას, ივნისის 1-ს უღმობელმა სიკვდილმა ხელიდან გამოგვაცალა ერთი საუკეთესო ქართველი ადამიანი, ალ. ივ. სარაჯიშვილი. განსვენებული დაიბადა 1851 წ. ქალაქს თბილისში და საშუალო სწავლა ამავე ქალაქის გიმნაზიაში დაამთავრა, რის შემდეგ უმაღლეს სწავლის მისაღებად ჯერ კახანის უნივერსიტეტში შევიდა და მერე წმიდა ვლადიმერის საიმპერატორო უნივერსიტეტში იურიდიულ ნაწილზე, მაგრამ დიდხანს არც აქ გაჩერებულა. პირველ კურსიდანვე დაანება თავი ხსენებულ უმაღლეს სასწავლებელს და ჟენევაში წავიდა სასწავლებლად.

1872 წელს სამშობლო ქალაქში შევიდა ხელმწიფის მოადგილის მთავარ გამგეობაში და 13 წელიწადი იმსახურა იქა. 1885 წ. გააწესეს დაღესტნის ოლქში, 1894 წ. გადმოიყვანეს ბაქოში და მერე ამავე წელს განჯაში. 1901 წელს გამოვიდა სამსახურიდან და თბილისში დასახლდა.

ალ. ივ. სარაჯიშვილი არ კმაყოფილდებოდა მარტო თავისი პირიდი, კერძო ცხოვრებით და მხურვალე მონაწილეობას იღებდა ქართულ საზოგადო საქმეებში. განსვენებული ფებდაფებ მისდევდა თანამედროვე საუკეთესო მამულიშვილებს და თავისი წვლილი შეჰქონდა სამშობლო ქვეყნის გონების საღაროში. 1879 წ. დაარსდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება და სხვასთან ერთად საზოგადოების წევრად ალ. ივ. სა-

რაჯიშვილიც იქმნა არჩეული, საცა 1885 წლამდე მოღვაწეობდა. 1884 წ. ი. ჭავჭავაძესთან და პ. უმიკაშვილთან ერთად განსვენებულმა დაბეჭდა მე-XII საუკუნის ნათარგმნი ნაწარმოები „ვისრამიანი“ ვარიანტების ჩვენებით და წინასიტყვაობაც ჩაურთო შიგა. 1895 წლიდან დაიწყო თავისი გამოკვლევის, „ვეფხისტყაოსნის ყალბი ადგილების“, ბეჭდვა ჟურნალ „მოამბეში“, და 1901 წ. პირველ ნოემბერში დაამთავრა. 1901 წლიდანვე 1902 წლამდე (ი. ჭავჭავაძის შემდეგ) გაზეთ „ივერიას“ რედაქტორობდა. ამ ბოლო წელიწადს კიდევ ჟურნალ „კლდეში“ ათავსებდა ხოლმე ხან ფრანგულიდან ნათარგმს მოთხრობებს, ხან თავის მარლიიან პატარ-პატარა იუმორისტულ იგავებს და ნამცვრევებსა ფსევდონიმ „რიშ ბაბა“-თი.

განსვენებულმა, როგორც საქართველოს წარსულის დიდებული ნაშთების მოყვარემ, მხურვალე მონაწილეობა მიიღო „საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების დაარსებაში“. დამფუძნებელ კრებაზე ხაზინადრად იქმნა არჩეული და შემდეგ კიდევ, როცა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მუზეუმ-წიგნთსაცავს საძირკველი ჩაეყარა, მუზეუმ-წიგნთსაცავის გამგედ. 1907 წლიდან მოყოლებული, ე. ი. ხსენებულ საზოგადოების დაარსების დღიდან, თავის უკანასკნელ დღეებამდე ხელი არ შეუჩერებია, დაუღალავად იღვწოდა. იკვლევდა ძველ ხელნაწერებს, კითხულობდა რეფერატებს „საზოგადოების“ წევრთა კრებებზე და მერე წაკითხულს ათავსებდა „საზოგადოების“ გამოცემაში — ძველ საქართველოში (განსვენებულის ერთი რეფერატი ჟურნალ „კლდეშიაც“ დაიბეჭდა წარსულ კვირის ნომერში.)

განსვენებული საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ერთი დედაბოძთავანი იყო. როგორც ხაზინადარი საკვირველის წეს-რიგით აწარმოებდა „საზოგადოების“ შესავალსა და გასავალსა და ძირითადს თანხას უქმნიდა საზოგადოებას დამოუკიდებელ არსებობისათვის. „საზოგადოების“ ყოველ საქმეში მხარდახარ მისდევდა „საზოგადოების“ თავმჯდომარეს და თავისვე მიერ შექმნილ ქართულ მუზეუმს აპდიდრებდა და ამშვენებდა; როგორც პირმშო შვილს ისე შეჰხარობდა, სათუთად ეპყრობოდა. ყოველი, მუზეუმში შემოსული დიდმნიშვნელოვანი ნივთი აღტაცებასა ჰგვრიდა განსვენებულსა. სახე უღიმოდა და უბრწყინავდა, როცა მუზეუმს რამე ემატებოდა, თავის საქმიანობით სხვასაც ჰხიბლავდა, ამხნევებდა, ახალი-სებდა და საქმის სიყვარულს უნერგავდა გუშლი.

ძნელათ თუ ვინმე შეხვდება სადმე ამისთანა ადამიანსა. ჩუმი გმირი იყო, უანგარო ჩუმად იწირებოდა მსხვერპლად. საქმეს საქმისათვის აკეთებდა და არა სახელისათვის. ეჯიერებოდა მყვირალა უქნარა ხალხი, მათი არათფერე-სწამდა; ცდილობდა რაც შეიძლება მეტი საქმე გაეკეთებინა და ნაკლები ელაპარაკნა მასზე და ახწევდა კიდევ მიზანს. განსვენებულის შრომას მუდამ კაი ნაყოფი მოჰქონდა. მახლობლები ვხედავდით ყველაფერს ამას და შეეხაროდით, იმედი გვეძლეოდა.

თავზარი დაგვცა შენმა სიკვდილმა, პატიოსანო ადამიანო! გული დაგვწყვიტა, გული!

მშვიდობით. შენი თანამშრომლები არ დაივიწყებენ შენ ამაგსა და იმედია დროზე თვით ქართველი ერიც ღირსეულათ დააფასებს შენს ნამოქმედარსა!

ირ. სონღულაშვილი.

პატარა პარალელი

ასი წლის ბრძოლა ირლანდიელებისა „პომრუსისათვის“ დაგვირგვინდა თითქმის სრული გამარჯვებით, რადგან ინგლისის პარლამენტმა საბოლოოდ დააკანონა ირლანდიის ცალკე პარლამენტი. ვერც ოლსტერის რიხიანმა გამოსვლამ და შეიარაღებამ, ვერც ლორდთა პალატის ჯიუტობამ, ვერც მთავრობის რყევამ და დათმობის გზაზედ შედგომამ აჯანყებულ პროვინციის წინაშე, — ვერ გასტეხა მებრძოლი ირლანდიელები და მათი მოკავშირენი თვით ინგლისში. დღეს ირლანდია სრული ავტონომიური ნაწილია დიდი ინგლისისა და საკუთარ საქმეთა ბატონ-პატრონი. საერთო საიმპერიო საკითხებში, — როგორც სახელმწიფოს დაცვა, საერთაშორისო განწყობილება თუ სხვა სახელმწიფოებთან დამოკიდებულება, — რასაკვირველია, ირლანდიის ცალკე ხმა არ ექნება და არც სასურველია მისთვის რომ იქონიოს, მაგრამ შინაურ საქმეთა მოწყობაში, აგრარულ, ეკონომიურ, საეკლესიო თუ სხვა ეროვნულ საკითხებში იგი, ამას იქით თავისი გზით ივლის და არ დაემორჩილება ცენტრალურ მართველობიდან გაცემულ ბრძანებას, რომელსაც არასოდეს არ ეცოდინება ზედმიწევნით მხარის საქიროებანი. გადასახადების რაოდენობა და ამ გადასახადთა მოხმარება არამცთუ სრულ განკარგუ-

ლებაში იქნება ახლა თვით ირლანდიელებისა, არამედ ინგლისი, როგორც ნამდვილი საკონსტიტუციო სახელმწიფო, რომელსაც კარგადა აქვს შეგნებული; თუ რამდენი ხარჯი სჭირდება საკუთარი მართველობის მოწყობას, პირველ ხანებში ფინანსიურ დახმარებასაც გაუწევს. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, თუ „ჰომრული“ მართლაც გულწრფელ სურვილს ეთანაბრება ინგლისელებისას.

ამგვარად, ინგლისი საბოლოოდ, შესდგა იმ გზაზე, რომ სახელმწიფო ძლიერი უნდა იყოს არა ძალმომრეობის მეოხებით, რომლითაც იჩაგრება და ირღვევა ყველაფერი, რაც მთავარ სახელმწიფოებრივ მუხრუქს არ ექვემდებარება, — არამედ იმ შინაგანი ძალით, რომელიც თავისუფალის სურვილით და ურთ-ერთ ინტერესთა შეგნებით აკავშირებს სხვა და სხვა ელემენტებს. ეს პრინციპი, როგორც ბევრი სხვა საკონსტიტუციო ცნება დაიბადა და განვითარდა ინგლისში სულ უკანასკნელ დროს და ახლო მომავალში იქნება მთელი ინგლისიც და ნაწილდეს ავტონომიურ რაიონებად, რომ ამით უფრო მჭიდრო და სრული ერთობა დამყარდეს იმპერიის სხვა და სხვა ნაწილებს შორის. ინგლისს აღარ ეშინია იმ თითქმის პირველყოფილი შემეცნებისა, რომ თავისუფლება, ავტონომია ისეთ ცენტროფუგურ საფრთხეს წარმოადგენს, რომელიც უქადის სახელმწიფოს სრულს დაქუცმაცებას. ირლანდიის ავტონომია, როგორც დაჟინებით ირკვევა, პირველი საფეხურია შოტლანდიის ავტონომიისათვისაც და მაშინ ინგლისი თითქმის ისეთსავე შეერთებულ შტატებად იქცევა, როგორიც ჩრდილო-ამერიკაა.

ძნელი წარმოსადგენია, რომ ცენტრალისტური საფრანგეთი, ან გერმანია ამავე გზას დაადგენ, რადგან მთელი მათი სახელმწიფოს შემადგენლობა თითქმის ერთფეროვანია ეროვნულისა და კულტურულის მხრით; მაგრამ ამავე გზას რომ რუსეთი უნდა დაადგეს, საცა მოსახლეობა დაყოფილია არა მარტო ეთნოგრაფიულად, არამედ კულტურულადაც, — ეს ცხადია. შეუძლებელია ვიფიქროთ, რომ კულტურულად სხვაზედ მაღლა არა მდგომმა ველიკოროსიამ ასთქვიფოს ერთმანეთში ისეთი შეუდუღებელი ნაწილები, როგორც პოლონეთი, მალოროსია, ფინლანდია, საქართველო და თუნდა ციმბირიც. ჩამოთვლილი და კიდევ სხვა ნაწილებიც მეტად განსხვავდებიან ერთ-ერთისაგან, რომ მათი ძალაუნებური მოქცევა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, არ იწვევდეს გამუდმებულს უთანხმოებას

(трение) და ეს უთანხმოებანი მით უფრო გაიზრდებიან, რაც უფრო კულტურულად განვითარდებიან და ეროვნულად შეგნებულნი გახდებიან რუსეთის შემადგენელი ნაწილები. ძალად შეკონსტიტუციონირებული სახელმწიფო, ყოველთვის ისეთ საფრთხეში იქნება, ნამეტნავად გარეშე კონფლიქტების დროს, როგორც ოსმალეთი და ავსტრია, შეწებებულნი მრავალ ერისაგან. და ჯერ არ გამშრალა ის მელანიც, რომლითაც გერმანიის პრესა განგაშსა სცემდა ამ ზამთარსა, როცა რუსეთთან ვითომ კონფლიქტსაც აპირობდა: რუსეთის შემადგენელი ერები უკმაყოფილონი არიანო.

ეს უკმაყოფილება ჯერ იმ ზომამდე არ მისულა რომ რუსეთის დარღვევა თვით შინაგან ძალებს გამოეწვიოთ, მაგრამ გონიერი და შორს მჭვრეტელი პოლიტიკა დღეს-დღეისობით ველარ დაემყარება ძველს პრინციპს: *divida et impera*-ს. დღეს ერთა სოლიდარობას ბევრად მეტი სარგებლობა მოაქვს საერთო სახელმწიფოსათვის ეკონომიურადაც და ძალთა ძალოვნობითაც, ვიდრე მათს შეწებებას უხეში ძალით და გათქვეფის სურვილით. საუკუნოები ისეთსავე დაღს ასვამენ ერთა ფსიხოლოგიას, როგორც ცალკე პიროვნებას და როგორც უკანასკნელნი ვერ ურიგდებიან ახლა მონობას, ბატონყმობას თუ სხვა რამ ბარბაროსულ მოვლენას, ისე პირველნიც ველარა თავსდებიან დაძველებულ სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ ფარგლებში. როგორც ცალკე პირისათვის დაძველდა პრინციპი: „შიში შეიქმს სიყვარულსაო“, ისე ერთათვისაც და დიდი სახელმწიფოს აღლოიანი მესვეურნი ამ მოვლენასაც უნდა უწევდნენ სათანადო ანგარიშს. თუ ეს შეიგნეს ინგლისში, ამავე შეგნების გზას უნდა დაადგეს რუსეთიც.

* * *

სცენის მოღვაწეთა პირველი ყრილობა

დიდი ხანია რაც დაიბადა ჩვენი სცენის მოღვაწეთა შორის ახრი ყრილობის მოწვევისა.

აგერ უკვე რჩ წელიწადია რაც ჩვენი თეატრი არსებობს და ამ ხნის განმავლობაში მის გარშემო ბევრი რამ შექმნილა, ბევრი ენერგია დახარჯულა.

დღეს ჩვენთვის, ქართველთათვის, თეატრი დიად მნიშვნელოვან ფაქტორად გარდაიქცა. თუ თეატრი სხვა ქვეყნებში თავის დანიშნულებას აღსრულებს, ჩვენში იგი უფრო მრავალშედეგიანია. მას მეტი საკმე აქვს გასაკეთებელი ჩვენში, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ამიტომაც არის რომ ამ ბოლო დროს სათეატრო რაიონი საქართველოში ფრიად გაიზარდა. ქუთაისსა და თბილისის გარდა საქართველოს სხვა დაბა-ქალაქებმაც შეიგნეს საჭიროება თეატრისა და დღეს წ თუ შვიდი მუდმივი დასი არსებობს ამ დაბა-ქალაქების თეატრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

სჩანს, ქართველი საზოგადოება თეატრს მაღალ კულტურულ დაწესებულებად აღიარებს.

დღეს გაიხსნება ჩვენი თეატრის მოღვაწეთა პირველი ყრილობა. ამ ყრილობაზე სცენის მუშაკნი პირის-პირ წარსდგებიან და პასუხს გასცემენ მრავალს საკითხს; ეს საკითხები, მართლაც, მრავლად არის მოგროვილი.

დღეს უნდა მოხდეს დაფასება ყველა იმისა, რაც გაკეთებულია სათეატრო ხელოვნების სფეროში. დღეს უნდა გავითვალისწინოთ ამ ხელოვნების მომავალი იმდენად, რამდენადაც ეს შესაძლებელი იქნება. დრამატურგთა, მსახიობთა ხელოვნება, რეჟისურა, სცენის ტექნიკა, სადეკორაციო მხატვრობა და მრავალი სხვა საკითხია საკამათოდ წამოყენებული.

არის კიდევ მეორე დარგი საკითხებისა: — პროფესიონალური. აღიარებულია საჭიროება ჩვენი სცენის მოღვაწეთა მჭიდრო პროფესიონალურ კავშირის შექმნისა.

იმედი ვიქონიოთ რომ ამ ყრილობით დაინტერესდება ჩვენი საზოგადოების დიდი ნაწილი, და სცენის მოღვაწეთ კი ვუსურვებთ, ეს ყრილობა მრავალშედეგიანი ყოფილიყოს, რომ ის აუარებელი მასალა, რომელიც ზემო აღნიშნულ საკითხთა ირგვლივ არის მოგროვილი, სცენის მუშაკთ კეთილად გამოეყენოთ და მომავლისათვის მოქმედების გარკვეული გზა გაეგნოთ.

ანი.

უკანასკნელი ამბები

თავად-აზნაურობის კრებაზედ ერთხმად იყო მიღებული პროექტი საადგილ-მამულო კომისიისა. მომხდარ არჩევნების დროს კომისიაში არჩეულნი

აღმოჩნდნენ: ვ. ყიფიანი, გ. ქურდიანი, ლ. დიასაშიძე, ვ. ჩერქეზიშვილი და დ. ჩოლაყაშვილი. კანდიდატებად: დ. ვაჩნაძე, გ. გაბაშვილი და ი. მამაცაშვილი.

ეროვნული
ბიზნირობა

ჟურნალ-გაზეთების და კოოპერატივების ხელმძღვანელთა საყურადღებოთ.

დაიბეჭდა ახალი ოთხმოქმედებიანი პიესა:

„სოფლის მასწავლებელი“, „თეატრი და კოოპერაციის“ დამატებით.

პიესაში გამოხატულია სოფლის მასწავლებლებისა და მოწინავე ელემენტების ენერგიული შრომით კოოპერაციის ბრწყინვალე გამარჯვება. დამატებაში დახასიათებულია კოოპერაციის დიადი მნიშვნელობა კულტურულ განმანათლებელ დაწესებულებათა გავრცელებაში.

ეს წიგნი ღირს შვიდი შაური, მაგრამ ოც ივნისამდე იმართება ხელის მოწერა და ხელის მომწერი მიიღებენ მას მხოლოდ ერთ აბაზად.

მოუწოდებთ ჟურნალ-გაზეთების აგენტებსა, კოოპერატივების ხელმძღვანელებს, სოფლის მასწავლებელთ და მღვდლებს დაიკვეთონ საკვიტანციო წიგნაკები და მიიღონ ხელის მოწერა ამ წიგნზე. ეს იქნება საუკეთესო ფორმა დახმარებისა საკოოპერაციო ლიტერატურის გამოცემა-გავრცელებაში.

„კოოპერაციის“ რედაქცია.

ადრესი წერილებისა და ფულებისათვის: Кутайскъ Ред. „Кооперация“, почтовый ящ. № 68.

რედაქციას მოუვიდა ამასთანავე ერთი ცალი დაკაზმული „სოფლის მასწავლებლისა“. წიგნი ლამაზად არის გამოცემული და შეიცავს 79 გვერს.

რედ.

პატივცემულმა მ. გ. ჯანაშვილმა რედაქციას გამოუგზავნა ახლად გამოცემული თავისი წიგნი: „გიორგი სააკაძე და მისი დრო“. წიგნი 52 გვერდიანია და ღირს ხუთი შაური. უნდა აღვნიშნოთ, რომ გ. სააკაძის ისტორია აქამდის დიდს კამათს იწვევს მის პიროვნებაზედ და ეს წიგნაკი, რასაკვირველია კიდევ მეტი ფურცელი იქნება მისი სახის გამოსარკვევად, მაგრამ რედაქცია დაწვრილებით შეეხება ამ წიგნის შინაარსს მომავალ ნომერში.

„არმენიზაცია“. თბილისის ვაჟარმა ს. ტერარაქელიანცმა შესწირა კავკასიის სომეხთა საქველ-

მოქმედო საზოგადოებას მამული, რომელიც მდებარეობს სოფ. ვაშლოვანში და რომელიც შესდგება ორ სართულიან ქვის სახლისა და ვენახისაგან, იმ პირობით, რომ დასახლებულმა საზოგადოებამ მიმდინარე წლის ენკენისთვეში შეწირულს სახლში დააარსოს სკოლა, როგორც ადგილობრივ, აგრედვე ახლო-მახლო მცხოვრებ სომეხთათვის. ამას გარდა ს. ტერ-არაქელიანცმა სკოლის საქიროებისათვის ფულად გადასდო სამასი მანეთი.

ამ დღეებში შემომწირველთან ერთად ეს მამული დაათვალიერეს თბილისის საეპარქიო უფროსმა ეპისკოპოზმა მესროპმა, კავკასიის საქველმოქმედო საზოგადოების თავმჯდომარემ ს. არუთინიანცმა და საზოგადოების წევრებმა მ. პოლოსიანმა და ს. მელქუმიანცმა. შენობა, რომელშიაც უნდა დაარსდეს სკოლა, ახლად არის აშენებული და სავსებით შეეფერება თავის დანიშნულებას. დასახლებულმა პირებმა შემოიარეს სხვა სოფლებიც. მცხოვრებნი სიამოვნებით უხვდებოდნენ მათ და სთხოვდნენ სკოლების დაარსებას. ჯერ-ჯერობით განზრახულია სკოლების დაარსება შემდეგ სოფლებში: ვაშლოვანში, კუმისში, კოდაში და პატარა თელეთში. ამ სკოლებს სუფსიდია ექნებათ კავკასიის სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოებისაგან.

ახალი წიგნი. ქართულ სას.-სამეურ. საზოგადოების ხარჯით დაიბეჭდა და ამ დღეებში გამოვა გასასყიდად კ. პ. კანდელაკის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო: „**ანგარიშთა და საქმეთა წარმოება წვრილი კრედიტის საკოოპერაციო დაწესებულებაში**“. წიგნი შეიცავს 200 გვერდამდე და ღირს ერთი მანეთი.

მომხმარებელ საზოგადოებათა საყურადღებოდ. დაიბეჭდა მომხმარებელ საზოგადოებათათვის საანგარიშო დავთრები ქართულს ენაზე. მსურველთ უნდა მიმართონ ქართულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, თბილისი, ბარიათინსკის ქუჩა № 5.

ახალი კოოპერატივი. სოფ. ხაშში, (ივრის ხეობა) არსდება მომხმარებელი საზოგადოება.

პარასკევს, 6 თიბათვეს, დასრულდა ქართლ-კახეთის თავად-აზნაურობის ჩვეულებრივი „საგანგებო კრება“, დაწყებული მდგომარე თვის პირველს. შემდეგ ნომერში უფრო დაწვრილებით შევეხებით ამ კრებას, ეხლა კი უნდა აღვნიშნოთ, რომ ბევრი

მიზეზის გამო, წრევანდელი კრებები ბევრად უფრო მტვიდი, დარბაისლური და კეთილშედეგიანი იყო, ვიდრე წინად, რასაც ხელს უწყობდა ბ-ნ მარშალის გონივრული თავმჯდომარეობა. ზოგიერთი წვრიშალის გარდა, შეიძლება ითქვას, რომ კრებამ უნაკლოდ ჩაიარა და იმედი ვიქონიოთ რომ ასეთი შეთანხმებული გზა ბევრ სიკეთემდე მივყავანს.

ანგარიში საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მოქმედებისა 1913 წელს: 1914 წელს 1-ელი იანვრისათვის საზოგადოებას ჰყავდა: 1 მზრუნველი, 4 საპატიო და 409 ნამდვილი, სულ 414 წევრი. საანგარიშო წელს საბჭოს ჰქონდა 16 სხდომა. წევრ-აგენტებად ჰყავდა: 1. მოსკოვში—ალ. ნიკ. ჯავახიშვილი, 2. ქუთაისში—რ. ყ. დათეშიძე, 3. ბაქოში—ივ. სპ. ელიაშვილი და 4. ტფილისში ვახ. დავ. ლამბაშიძე, ალ. ლევ. ჯორჯაძე და იოსებ მერკვილაძე, რომელთაც ჩაბარებული ჰქონდათ საკვიტანციო წიგნაკები საწევრო ფულის შესაგროვებლად.

ა) საანგარიშო წლის განმავლობაში საზოგადოებას ჰქონდა 7 ჩვეულებრივი, 7 არაჩვეულებრივი და ერთი წლიური, სულ 15 კრება.

ბ) ამ კრებებზე მოხსენებანი წაიკითხეს: 1. ალ. ივ. სარაჯიშვილმა: „ერთი გლეხის ოჯახის თავგადასავალი მე-18 საუკუნეში“ (იხ. ოქმი № 66).

2. ს. რ. გორგაძემ შესახებ თვისი მოგზაურობისა 1912 წ. მდ. ყვირილის ხეობაში. (იხ. ოქმი № 68).

3. პავლე ინგოროყვამ შესახებ თვისი მუშაობისა დასავლეთ საქართველოს სამონასტრო წიგნთ-საცავებში 1612 წლის დეკემბერს (ოქმი № 68).

4. ალ. სვანიძემ: „ძველი თქმულებანი ამაზონებზე და მათი ისტორიული სარჩული“ (ოქმი № 70).

5. მანვე: „ასურული ლურსმული წარწერანი ქართველ ტომთა შესახებ და მათი განმარტება“ და „ქართული ისტორიის ერთი პრობლემის გამო“ (ოქმი № 72).

6. ე. ს. თაყაიშვილმა: „ბორჩალოს მაზრის ქართული ნაშთები და მათი წარწერანი“ (ოქ. № 74).

7. ს. გორგაძემ: „იოვანე პეტრიწი და მის მიერ ნათარგმნი თხზულება ნემესიოსისა «ბუნებისათვის კაცისა»“ (ოქმი № 75; ეს მოხსენება დაიბეჭდა წინასიტყვაობად აღნიშნული თხზულებისა, იხ. ნემესიოს ემესელი—«ბუნებისათვის კაცისა», 1914 წ. ტფილისი, გვ. III—XXII).

8. მოსე ჯანაშვილი: „არაგვის ხეობა“ (ოქმი № 77).

და 9. ექიმმა აბ. იაშვილი: „ქართული კარბადინის ხელთნაწერები“ (ოქმი № 79).

გ) ამავე წელს, საზოგადოების საბჭოს მონდობილობით, თავმჯდომარემ ე. ს. თაყაიშვილი და საბჭოს მიერ საგანგებოდ მოწვეულმა მხატვარ-ფოტოგრაფმა კუნემ იმოგზაურეს გურია-სამეგრელოს და იმერეთის ეპარქიის სხვა და სხვა კუთხეში, დაათვალიერეს მონასტრები: შემოქმედისა, ვანის ეკლესია, ხონისა, მარტვილისა, კადარისა, სეფიეთისა, ხობისა, ცაიშისა, წალენჯიხისა, სუჯუნისა, გულეკარისა, ტყვირისა და კორცხელისა, სადაც გადმოიღეს ფოტოგრაფიული სურათები ნივთებისა, ფრესკებისა და ეკლესიის გეგმები; ამ მოგზაურობის დროს გადმოღებული მარტო ფოტოგრაფიული სურათების რიცხვი 450 აღემატება. ამავე მოგზაურობამ შეგვიძინა ოციოდე ხელთნაწერი და რამოდენიმე საყურადღებო არქეოლოგიური ნივთი. იმავე პირთ, მდივნის ს. გორგაძის თანხლებით, დაწვრილებით დაათვალიერეს შიომღვიმის მონასტერი, სადაც მხატვარ-ფოტოგრაფმა გადმოიღო საინტერესო ნაშთთა სურათები და შიო მღვიმელის საფლავზე აგებული ტაძრის სრული გეგმა. ამას გარდა, თვით თავმჯდომარემ; საზოგადოების წევრ არქიმანდრიტ ნაზარისთან (ლეყავა) ერთად, დაათვალიერა იოანე ნათლის მცემლისა და დავით გარესჯის მონასტრები (გარეკახეთში), სადაც აღნიშნა ნაშთები, რომელნიც უნდა გადმოღებულ იქნან სპეციალისტ მხატვარ-ფოტოგრაფის მიერ 1614 წელს. ამას გარდა, მდივანმა ს. გორგაძემ, ახალგაზდა მხატვრის გიორგი ხმალაძის თანხლებით, განმეორებით ინახულა ტაბაკინის მონასტერი (შორაპნის მაზრაში), რომლის კედლიდანაც მხატვარმა გადმოიღო ცნობილი ჯგუფი: თამარ დედოფალი, მისი მამა და ძე ლაშა გიორგი და რამოდენიმე სხვა სურათიც (წმ. მარინე ეგვიპტელი და წმ. ზოსინე; აღმაშენებელი ეკლესიისა; ნაწილი განკითხვის დღისა). იმავე კრონმა გადმოიღო მუზეუმისათვის მცხეთის ტაძრის კედლიდან „სამაია“ და საფარის მონასტრის მხატვრობა: ათაბაგები სამცხისა*) და ძმანი ლასურიძენი**) და აგრედვე ჯვარცმა. საბჭოსა-

ვე მონდობილობით, ახალგაზრდა მხატვარმა დავ. კაკაბაძემ ნაყურალეშის ეკლესიის (ლენხუმი) კედლებიდან გადმოიღო ორი დიდი მხატვრობა ჩიქოვანთა (დადიანთა) წინაპრებისა. იმავე დროს მხატვარი მოსე თთიძე მოგზაურობდა საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში საზოგადოების მუზეუმისათვის საეთნოგრაფიო სურათების დასამზადებლად. ბოლო დროს ე. თაყაიშვილი გაემგზავრა ქუთაისში, საიდანაც მოიტანა საყურადღებო საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთები.

დ) საანგარიშო წელს საბჭომ დაურიგა საზოგადოების წევრებს „ძველი საქართველოს“ მე-II ტომი და განაგრძო მე-III ტომის ბეჭდვა აგრედვე დაბეჭდა უდიდესი ნაწილი „საქართველოს სიძველენის“ მე-IV ტომისა, რომელშიაც იბეჭდება „როსტომიანი“ ი. აბულაძის რედაქტორებით. ამასთანავე დაადგინა შეერთებულის ძალით გამოსცეს „ვეფხისტყაოსნის“ სრული ტექსტი ყველა ვარიანტის ჩვენებით (საბჭოს ოქმი № 16).

საზოგადოების მუზეუმში ამ ეჟამად არის წრევანდელი შემატებით: საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ნივთი—1430; ქსოვილი—396; საისტორიო და საეთნოგრაფიო სხატვრობა—382; საარქეოლოგიო და საეთნოგრაფიო ალბომი 46.

ამას გარდა საანგარიშო წელს მუზეუმში შესამჩნევად იმატა ძველებური ფულების რიცხვმა, რომელთა რაოდენობა ჯერ-ჯერობით ცნობაში მოყვანილი არაა.

შესამჩნევად იმატა საანგარიშო წელს საზოგადოების წიგნთსაცავმაც. წლის დამდევს წიგნთსაცავში იყო: ხელთნაწერი წიგნი 926, წლის განმავლობაში შემოვიდა 143, გახდა 1096; ნაბეჭდი წიგნი იყო 3568 ტომი, შემოვიდა 2404, გახდა 5972 ტომი (წლის განმავლობაში შემოწირულ წიგნთა შორის 1477 ც. კირიონ ეპისკოპოსის შემოწირულია).

ამას გარდა ბიბლიოთეკაში ამ ეჟამად დიდძალი სიგელ-გუჯარია, რომელთა რაოდენობა ჯერ კიდევ არაა ცნობაში მოყვანილი.

საზოგადოების საწყობში 1914 წლის 1-ლი იანვრისათვის იყო: 1. „ძველი საქართველო“ ტ. I, 160 ცალი; 2. „ძვ. საქართველო“ ტ. II, 730 ც.; 3. „საქართველოს სიძველენი“ ტ. II, 424 ც.; 4. „საქართველო სიძვე.“ ტ. III, 509 ც.; 5. პალეოგრაფიული ალბომი 480 ც.; 6. „თიმსარიანი“ 406 ც.; 7. „ათაბაგნი ბეჟა და აღბულა“ 45 ც.; 8. „ისტ. კათოლ. საქართველო“ 90 ც.; 9. „პასუხად სომხის მწერლებს“ 138 ც.; 10. „საბა-სულხან ორბელიანის პორტრეტები“ 75 ცალი.

*) საბახ მონასტრიდან; **) წმ. მარინეს ეკლესიიდან.

კ ო მ ე დ ი ა

„მადლობას მოგიხსენებ ქალაქის საბჭოს
ნდობისათვის, მე ვრჩები...“

ბ. დ. ჟურული.

როდესაც ამბობდნენ ხოლმე, ნუ ვენდობით
გ. ჟურულს საერთო საქმიანობაში, რადგანაც საში
ნელი ლაჩარია, გვიღალატებს და თავსაც მოგვ
ჭრის, ჩვენ გაცხარებით ვუპასუხებდით—ტყუი-
ლია ეს, გ. ჟურული ქართველია. მასთან გონიერი
და რად აკადრებს თავის თავს ან თავის მოძმეებს
ასეთს სირცხვილს. და ამაში სრულიად დარწმუნე-
ბული და მეტად გახარებული ვიყავით, როდესაც
გ. ჟურულმა საყოველთაოდ განაცხადა, რომ იგი
თავს ანებებს ქალაქის შავრაზხელ გამგეობის სო-
მეხთა ბუდეს, სადაც ვარჯიშობენ ქართველობის
მოტყუებასა და დევნაში.

მეტად გახარებული ვიყავით, მაგრამ მოვტყუე-
დით, საშინლად მოვტყუვდით... და ნააზობიც გამ-
მართლდა. გამოიკვია, რომ ეს უბრალო კომედია
ყოფილა.

ყველასათვის ცხადი იყო, რომ თბილისის თვით-
მართველობის ბატონ-პატრონნი ხატივოსი და კომპ.,
დიდი ხანია ქართველების წინააღმდეგ ბრძოლა-ინ-
ტრიგებში გაწვრთნილნი არიან. საცა კი ხელი მი-
უწვდებოდათ და ძალა შესწევდათ შეურაცხყოფას
აყენებდნენ მის სახელს. და ამას სჩადიოდნენ ცხა-
დად და გულახდილად.

ლორთქიფანიძეს საქმემ მოთმინების ფიალა
აუვსო იმ ქართველებსაც, რომელნიც აქამდის მე-
გობრულ განწობილებაში იყვნენ სომხებთან.

ამიტომ გ. ჟურულის განცხადებაც ყველა ქარ-
თველმა სამართლიანად აღიარა და დარწმუნებული
იყო, რომ მისი ქართველი წარმომადგენელი მართ-
ლაც გულწრფელად და თამამად მიატოვებს ხატი-
ვოსის ბანაკს, მაგრამ ქართველი საზოგადოებაც
მოსტყუვდა; ეს უბრალო კომედია ყოფილა, სადაც
მთავარ კომედიანტის როლს გ. ჟურული ასრულებ-
და; სუფლიორისას ა. მდივანი და რეჟისორობას
სწევდა „სახალხო გაზეთი“.

კომედია საუცხოვო გამოვიდა.

გ. ჟურული თავის მშვენიერი ღიმილით დამნა-
შავისებურად თავს უკრავდა ა. ხატივოსს, ა. მდივანი
სიხარულით ცეკვავდა (გ. ჟურული მე დავიხსენიო)
და კმაყოფილი „სახალხო გაზეთი“ დარბაისლურად

სდუმდა და ამ საზარელი ამბავის გამო ვერაგულად
დღემდისაცა სდუმს.

მართალი იყვნენ ისინი, რომელთაც გ. ჟუ-
რულის სითამამე არა სჯეროდათ, ამბობდნენ, რასა
ბრძანებთ, განა ეგ კაცი თბილადგვიშატოვებ-
სო...

აი, თუ ამ წელს ჩვენს ბანკში აღგილი გან-
თავისუფლდა, მაშინ შესაძლოა ქალაქის გამგეობა
მიატოვოსო, თორემ ისე, ტყუილ-უბრალოდ, რალა-
ცა საერო საქმისათვის, არასოდეს! უსათუოდ დარ-
ჩებაო.

მართლაც გ. ჟურული უბრალო, პაწია კაცუ-
ნად, მეწვრილმანედ გამოდგა... ასწონა, დასწონა
და ამაც, პატიოსან ქართველის სახელს სომხების
ბოძებული თბილი და მყრალი აღგილი არჩია.

რასაკვირველია, გემოვნების საქმეა.

მაგრამ ერთი რამ უნდა დაავიწყდეს ბ. გიორგი
ჟურულს — ქართველთ წარმომადგენლობის სახელი.
ეს სახელი მეტად საპატიოა, რომ იგი ატაროს იმან,
ვინც მოტყუებით შეაცდინა და ააღელვა ქართული
საზოგადოებრივი აზრი, ფეხზედ დააყენა მთელი ქარ-
თველობა, ანაცვალა მისი ეროვნული მოთხოვნი-
ლება და საერთო ინტერესი თბილადგვილს. მეტად
საზარელი საქციელი სომხებისა კომედიად აქცია და
მადლობა გადაუხადა ქართველების შეურაცხყოფე-
ლებს და არა კეთილშობილს მტრებს.

„გ. ჟურულს სომხებმა სადილი აქამესო და
როგორც გავიგეთ, დაიყოლიეს ძველადგვილზედაო,
ამას წინად ირონიულადა სწერდა „სახალხო გაზე-
თი“... მაგრამ ამასთანავე თავისი წარმომადგენელი
აფრინა გ. ჟურულთან, უნდა დარჩეო, თორემ
ჩვენი ჯგუფის ხმოსნები იძულებულნი იქნებიან აღ-
გილები მიატოვონო.

გზა მიეცით; პოლიტიკური ხამელეონობის და
ავანტიურიზმის დროა!

ვინც არ იცნობს ამ ხელოვნებას, მიმართოს სომ-
ხების მოამაგეს გ. ჟურულსა და „სახალხო გაზეთის“
რედაქციას.

იქ გასწავლიან, როგორ უნდა ატყუოთ გულ-
უბრყვილო ქართველი საზოგადოება და ხამელეო-
ნურად ჩასხდეთ თბილად სავარძელში.

ნაცარა...

„სახალხო გაზეთი“ და ჩვენი დაწესებულებანი *)

II

წარსულ წერილში უადგილობისა გამო ჩვენ ვერ აღვნიშნეთ ის მნიშვნელოვანი საკითხებიც, რომელთაც ბანკის ცხოვრებაში უადრესი ადგილი უჭირავთ და რომელზედაც ახალი ფარმაციის ოფიციაზი „სახალხო გაზეთი“ არა მარტო თვალებსა ხუჭავს, არამედ კიდევაც უკიჟინებს ოპოზიციას: ხმას რად იღებო. ავიღოთ მაგალითად ის საშინელი საფრთხე, რომელიც აღმოუჩნდა ჩვენს ბანკს „დონის ბანკის“ განყოფილების გაჩენით გორში; ე. ი. ჩვენი ბანკის სამოქმედო რაიონში. ხმები ამ ბანკის შემოჩენაზედ შარშან მთელ საზოგადოებას აშფოთებდნენ, გარდა ბანკის ხელმძღვანელებისა, ვისაც იგინი პირდაპირ შეეხებოდნენ. საზოგადოება დარწმუნებული იყო, რომ ბანკის მეთაური საკმაო ენერჯიას. უნარს და ხალისს გამოიჩენდნენ მეტოქის ალაგმვაში, მაგრამ წრევანდელ კრებაზედ და ანგარიშებიდან გამოიჩინა, რომ ჯერაც კიდევ საღათას ძილში ვართ.

გამგეობის მოხსენებაში ჩვენ ვკითხულობთ, რომ გამგეობის თავმჯდომარე ყოფილა პეტერბურგს და გაუგია, რომ... აღარაფერი ეშველება საქმესაო და რაც შეეხება სხვა ბანკების ან რომელიმე მეტოქის გაჩენას... ბანკს შეატყობინებენ ამ გარემოებას. კრების შეკითხვაზედ, გამგეობის თავმჯდომარემა სთქვა: ჩვენ ოფიციალურად შევიტყუეთ „დონის ბანკის“ ჩამოსახლებაზედ მარტო ენკენისთვეში და ზომებიც მივიღეთო. ასეთი განცხადება ორგვარად არის უხერხული: ჯერ ერთი მთელმა ქვეყანამ იცოდა არა ოფიციალურად რასაც აპირებდა „დონის ბანკი“, იცოდნენ ეს ჩვენი ბანკის ხელმძღვანელთაც, მაგრამ ზომების მისაღებად ისინი უცდიდნენ ოფიციალურ კნობას და საქმის წახდენის რეგისტრაციას; მეორეს მხრით, როგორი იყო ეს ზომები და როგორი იყო ამ ზომების შედეგები. დონის ბანკმა, დაარღვია ჩვენი ბანკის უფლება და შემოიჭრა იმ რაიონში, საცა ახალ ბანკს არ შეეძლო ამის ჩადენა. ჩვენმა გამგეობამ კი მარტო მაშინ მიიღო ზომები, როცა ეს უკანონობა

უკვე დაკანონდა. იმის მაგიერ, რომ თავის უფლებათა აღსადგენად ეზრუნათ და ზომები მიეღოთ, პეტერბურგში მარტო მომავალის თანხები მიიღეს; ისიც როგორი: თუ ვინმე აღძრავს თხოვნას, შეგატყობინებთო. ესეთი ზომები და ესეთი საქმე — საქმე არ არის! ეს სრული უსაქმობაა, როგორც აღვნიშნა რწმუნებულთა კრებაზედ ნ. ი. კობიაშვილმაც. იმის მაგიერ, რომ უდიდეს საფრთხის დროს, ბანკის მეთაური დაფაცურებულიყვნენ და ქვეყანა შეეძრათ იმ უკანონობის გამო, რომელიც ჩაიღინა „დონის ბანკმა“, ჩვენი გამგეობა ისე მშვიდათ, აუღელვებლივ მიბრძანდება პეტერბურგში და ხელს აწერს: საქმე გათავებულიაო. რასაკვირველია, ამის შემდეგ კრება იძულებული გახდა აპეკისთვის მიემართნა და ეთხოვნა საჭირო ზომების მიღება, როგორც დაინტერესებულ პირისათვის, თავად-აზნაურობისათვის. ამ აზრს, როგორც განმათავისუფლებელს საჭირო შრომისაგან, სიხარულით მიემხრო გამგეობაც. თავისი ვალი გადააკისრა თავად-აზნაურობას და მოისვენა... ესეთი უცნაურობა რომ აღვნიშნა ოპოზიციამ, „სახალხო გაზეთი“ სდუმს და ამავე ოპოზიციას უკიჟინებს.

აღვნიშნული იყო ისიც, რომ საბანკო შენობა მეტად ძვირად ჯდება და უკვე 1914 წლის იანვრამდე ზედმეტად დაიხარჯა 85000 მანეთი. ჩვენ არ ვიცით, რამდენი დაიხარჯა იანვრის აქეთ, ან რამდენი დაიხარჯება შემდეგ, მაგრამ გადაჭრით შეგვიძლიან ვიწინასწარმეტყველოთ, რომ ის კომისია, რომელმაც ააშენა ჩვენი ქართული თეატრი, ასევე ჩაიფლობა ქართულ ბანკშიაც და კათეგორიული რწმუნება გამგეობის თავმჯდომარისა, რომ ამაზედ ზედმეტი საჭირო არ იქნებაო — ისევე კათეგორიულად გაცრუვდება, როგორც კათეგორიულად ითქვა.

ჩვენ შარშანვე ვწერდით იმ უწესობაზედ, რომ გამგეობის წევრი და ზედამხედველ კომიტეტის წევრი შედიან საამშენებლო კომისიაში, მაგრამ ჩვენს საზოგადოებაში არიან „ოფიციაზები“ რომელნიც ყველაფერზე თვალებსა ხუჭავენ. არა ნორმალურად უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ გამგეობა და ზედამხედველი კომიტეტი თვითონ იღებენ მონაწილეობას საამშენებლო კომისიაში, და არა მარტო თვალყურს ადევნებენ, რადგან, როგორც ეს სრულიად გამოაშკარავდა კრებაზედაც, გამგეობაც და კომიტეტიც იძულებული ხდება ძალაუფლებურად გაამართლოს ყველა შეუსაბამო ხარჯიც კი, რაკი ამ ხარჯის გაღებაში თვითონაც მონაწილეა. როდესაც

*) იხ. „კლდე“ № 22.

შეეკითხა კრება, თუ რად დახარჯეთ ზედმეტი ფულიო, ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარემ გაიმეორა ის ცნობები, რაც ეწერა მოხსენებაში: დაიხარჯა ზედმეტ ადგილის ყიდვაზედ 30000 მ. ზედმეტ შენობაზედაც 30000 მ., წინაპირის შეცვლაზედ (ხელოვნური ქვის მაგიერ, ბუნებრივი ქვა) 15000 და საძირკველის გამაგრებაზედ 10000. სიტყვა არავის დაუძრავს, თუ რისთვის იყო საჭირო მიწის და შენობის მომატება, რისთვის იყო საჭირო ფასადის შეცვლა და სხ.

გამგეობის თავმჯდომარე უფრო შორს წავიდა და როცა ბ-ნა სვიმონიშვილმა ციფრებით ხელში დაამტკიცა, რომ შენობის მასალა და სამუშაო გაცილებით მეტი უჯდება ჩვენს ბანკს, ვიდრე სხვა დაწესებულებათ, — ოხუნჯობით უპასუხა. მაშინ როდესაც მანთაშევის სკოლა შენდებოდა 75 მან. საყენი, რეალური სასწავლებელი 72 მანეთად, სახელმწიფო ბანკის კონტორა 75 მანეთად — ჩვენმა ბანკმა ყველას გაუსწრო და აძლევს 82 მანეთს კუბიკურ საყენ ში. ასევეა სხვა მასალა — საქმეშიაც. როგორც ხმები დადის, ჩვენი ბანკი აპირობს კარფანჯარის გაკეთებას კაკლის ხისას და თითო კარი და ფანჯარა უჯდება 140 მანეთით. ეს დაუჯერებელი იქნებოდა, რომ ქართული ბანკი არ იყოს და ქართველები არ აშენებდნენ და მეორეც ის ქართველები სწორედ, რომელნიც აშენებდნენ ქართულ თეატრსაც.

აი რა ამბები ხდება ჩვენს ბანკში, აი რას აქცევდა ყურადღებას ოპოზიცია, რომელმაც „სახალხო გაზეთის“ საყვედური დაიმსახურა ბანკის საქმეთა უცოდინარობისათვის.

აღძრული იყო საკითხი შტატ-გარედ მდგომ მოსამსახურეებზედაც, რომელმაც მოიტანა საზოგადოთ საკითხი დაბალ მოსამსახურეთა მდგომარეობის გაუმჯობესებისა. საკითხი უფრო დემოკრატიული ელფერისაა და ამისათვის მაინც უნდა გაეძრია ხელი „სახალხო გაზეთს“ და აღენიშნა ის უცნაური ამბავი, რომ ზოგიერთი მოსამსახურე 7, 8 და 10 წ. შტატ-გარედა რჩება, ვითომ იმიტომ, რომ მისი ადგილი «დროებითია», გამგეობის განცხადებით. სხვა მოსამსახურეთა ბედიც ამავე მდგომარეობაშია, სულ იმის მოლოდინში, რომ საჭიროა საერთო რეორგანიზაცია, რომელზედაც აგერ მესამე წელიწადია ლაპარაკობენ, მაგრამ გამგეობა აგვიანებს... სანამ საკუთარი შენობა გვექნებაო. შენობა არ ვიცით, როდის იქნება, ცხოვრება კი თავისას თხოულობს და თუ გამგეობამ მოიცალა და შარ-

შან თითონ მოიმატა თითო წევრზედ ას-ასი თუმანი, რატომ ვერ მოიცალა დაბალ მოსამსახურეთათვის? სრული ქეშმარიტება ბრძანა გამგეობის თავმჯდომარემ, რომ საზოგადო კრება არ უნდა ეროდეს ამა თუ იმ შინაგან საქმეთა ნაწილობრივ შეცვლაში, რადგან ეს კომპეტენციას შეადგენს გამგეობისას, მაგრამ თუ გამგეობა შესაძლებლად სთვლის თავის წევრებს თითონ მოუმატოს ნაწილობრივ ჯამაგირი, შესაძლებლად უნდა სცნოს ის საზოგადო მოსაზრებაც, რომ ყველა მოსამსახურეს მდგომარეობა საერთოდ გაუმჯობესდეს.

მდგომარეობის გაუმჯობესებამ, რასაკვირველია უნდა გამოიწვიოს მოსამსახურეთა შემადგენლობის გაუმჯობესებაც; მაგრამ ამ ზომამდე ოპოზიციის გამბედაობაც არ მისულა და რად მივიდოდა გამგეობის, ან მისი მფარველი „ოფიცოზის“ მსჯელობა.

ვგონებთ, ჩამოთვლილი მაგალითებიც საკმარისია რომ ნათელი გახდეს, რაგვარად მიმდინარეობს საქმე ჩვენს უდიდეს დაწესებულებებში: სკოლასა, წ.-კ. გ. საზოგადოებასა და ბანკში. მომავალი წ.-კ. გ. საზოგადოების კრება, უეჭველია, იმავე მდგომარეობაში იქნება, როგორც შარშანდელი და „სახალხო გაზეთი“, დღეს უკვე „ფურცლად“ ქცეული, გამგეობის მფარველობას იკისრებს ისევე, როგორც იკისრა სხვა ზემოაღნიშნულ გამგეობათა მფარველობა, იმის და მიუხედავად, რომ თვალნი ხედვად უნდა ჰქონდეს და ყურნი სმენად და საზოგადოებრივი ინტერესი არ გასცვალონ მფარველობით სისტემაზედ. მფარველობით სისტემას არავისათვის კარგი არ მოუტანია და მით უმეტეს სიკეთეს არ მოუტანს არც საზოგადოებრივ დაწესებულება და არც თვით ოფიცოზ-მფარველებსა. ჩვენის მხრით ვაფრთხილებთ „სახალხო გაზეთს“, რომ შედგომა ასეთ ნიადაგზედ არა მარტო ანტი-საზოგადოებრივია, არამედ ანტი-ეროვნულიც. ამ მხრივ კი „სახალხო გაზეთმა“ უკვე გადისროლა ქვა „ერთ-ერთ მიმართულებებისაკენ“ (უეჭველია ს.-დ — ესაკენ) და მოუწოდა მართლმადიდებელთ: დაფაცურდით მომავალ კრებისათვის და... ისევ ჩვენი უსაქმურნი აირჩიეთო. ასე სჯის საზოგადო საქმეებს ჩვენი სოციალ-დემოკრატიული ოფიცოზი.

რ. გ.

მოწყალეო ბატონო, გნიაზო გიორგი! ^{**}

შენი წერილი კვ-ს აქტობრიდან მე გვიან მივიღე, რადგან შენდამით ადრესი გურიის უბისკომისთან დაგეწერა: მაგრამ პირი მისი კარგა ხანია წამიკითხა კზ. გრ. დადიანმა. ამ შენმა წერილმა კარგი ქართული ენით დაწერილმა, გამტეუუნა ზოგიერთი შენი ბროშურის წამკითხველნი, რომელნიც ამბობდნენ: „უთუოდ. მან თვითონაც კარგათ არ იცის ის უბედური ქართული ენა, რომელსაც, სხვათა შორის, უწინასწარმეტყველა მოსპობა და გაქარვება“. მე კი აქვე ბოდიში უნდა მოვიხადო, რომ ეს ჩემი პასუხი არ არის ისეთი კარგი ენით დაწერილი, როგორც შენი წერილი. ამასაც დავემატებ: პასუხის წერას შეგუდექი არა უსარგებლო ციფობისა და ამოთავის-მოუვარეობისა გამო, არამედ იმ განზრახვით, რომ, იქნება, შეშინებულნი ახსნას უმჯობესათ. მე მაქვს სახეში, ვის ვწერ ამ წერილს: ვიცი წინათვე, რომ ის, რომელსაც ამ წერილს ვსწერ, მაღლად განათლებული კაცი არის, და სწუენად არ მიიღებს ჩემ წერილს, თუმცა და იგი არ ეთანხმება მისს აზრებს: მაღლსა და ვრცელ მნიშვნელობას აძლევ ენას, როდესაც იტყვი. „ენა კაცისათვის და მეტადრე საზოგადოთ ხალხისათვის ის არის რაც სული ხორცისათვის.“ სხვა ვინმესთან, ან ისეთ განათლებულთან და ლაღიკის მცოდნესთან, რომ მქონდეს ბასი, აქ მე ამ სახით ვუპასუხებდი: თუ ენას ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, მით უმეტესად ძნელაა და შეუძლებელი არის ხალხისათვის მისი მოსპობა; მით უმეტესად უნდა ეცადოს ხალხმა მისი შეკეთება, გავრცელება, გამდიდრება, დამარხვა და არა დაკარგვა. აქვე მოვიფიქრებთ საძიაროთ წიგნიდან ამ სიტყვებს: რა სარგებლობაა შეიძინას კაცმა სოფელი უფკელი და სული მისი იზღვიოს; ანუ რა მისცეს კაცმა ხელგულად სულისა მისისა.“ მაგრამ ვიცი, რომ ამისთანა პასუხი მე შენთან არ გამოვა, შენ მაშინვე სიტყვას გამოიწვევტ და მიპასუხებ: თუ კი ბუნებითი წესი და კანონი არის, რომ მცირე ხალხის ენა მოიშობს, დიდი ხალხის გავრცელებს, რაც გინდა ისურვოს, იზრუნოს პირველმა, ბუნება მის წესს ვერ გადავა. მართლა, თუ ის აზრი, რომელსაც შენ ამტკიცებ ბროშურაში, ბუნების კანონი არის, უსარგებლო

იქნება უფკელი წინააღმდეგი ზრუნვა და დაპარაკი: ბუნების წესი, ვით თვით დემეტოსის წესი, სრულდება ჩვენ დაუკითხავად, მხოლოდ სულ ერთია, მოგწონს თუ არა მისი კანონი. მაგრამ, რომ ამტკიცებ შენ ბროშურის მოვლენა (მცირე ხალხის ენის განქარვება) — არის ბუნებითი წესი? ამას შენ ბროშურაში ამტკიცებ მარტო ლაღიკური თეორიით (теорією), მართალია, დრმათ მასწავლებელი და განიურად გამოთქმული თეორიით. მაგრამ მაინც თეორიით; იმ შენი თეორიის თავსაკიდური აზრი — ეს არის: სახელმწიფო არის და უნდა იყოს ერთი ორგანიზმი (одно органическое плое); ერთ ორგანიზმეს ერთი სული უნდა ქონდეს, ეს სულია ორგანიზმისა; მაშასადამე, ენა უნდა იყოს სახელმწიფოში წინააღმდეგ შემთხვევაში სახელმწიფო არ იქნება მაგარი და მკვიდრი.“

ეს აზრი თეორიულია. შედარებით ანუ დამსკავსებით შეიძლება სიტყვას კაცმა: სახელმწიფო ორგანიზმი არის, მაგრამ ასე-ასოთ არ მიღება ეს დამსკავსება. მართალია, სახელმწიფო არის შეერთება მრავალთა განყოფილთა ორგანიზმთა, ე. ი. აღაშინათ; რაც გინდა მჭიდროდ და მაგრად იყოს იგინი შეერთებულნი, ასე-ასოთ ერთ ორგანიზმს ვერ შეადგენენ. პრაქტიკა, გამოცდილება ამტკიცებს, თუ არა ამ შენს თეორიას? შენ ჩემზედ უკედ იცი, რომ თეორია გამოცდილებაზე უნდა იყოს დამყარებული, ფაქტებისაგან უნდა იყოს გაუკანალი და არა უკუღმა, ე. ი. ფაქტები თეორიიდან არ გამოიყვანება. მართალია, შენ წერილში კი მოიყვან რომელთაღმე ფაქტებთა დასამტკიცებელად შენი თეორიისა, (ამათ განვიხილავ ქვემოთ). მაგრამ ბროშურაში ფაქტები არ მოგყავს; მხოლოდ ამბობ: „ისტორიული განხილვა მეორე ხაწილში იქნება“. თეორია რაც გინდა დრმა და საფუძვლიანი იყოს, ვერაოდეს ვერ ახსნის მრავალფეროვანს, მრავალკერძოს, დაუნებრომელად მოძრავსა, მუდამ ცვალებადს კაცობრიუსა ისტორიულსა ცხოვრებისა..... ახლა გადავალ იმ ფაქტების განხილვაზედ, რომელთა შენ მოიყვან წიგნიში. მაგრამ, წინაპირველად ჩემი მხრით მოგიყვან აქ ერასსა შესანიშნავს, საზოგადო ფაქტს: დედა-მამის ზურგზედ დასაბამიდან ვიდრე აქობამდე, და ახლაც ჩვენც დროებაში, არ უფილდა და არ არის ისეთი დიდი სახელმწიფო, რომელსა შინა უფკელნი მცხოვრებნი დაპარაკობდნენ ერთი ენით; უფკელ დიდ სახელმწიფოში უფკელთვინ და უფკელკან გარდა ერთი უმთავრესი სამმართველო ენისა, უფილდან სხვა წვრილ-წვრილი ენები; გარნა ეს გარემოება არაფერს არ უშლიდა და არც ახლა უშლის, ე. ი. მარტო ამ გარემოებას სახელმწიფო არ დაურდვევია, არც დაუსუსტებია. შენ წიგნიში მოიყვანილი ფაქტები, ჩემი შესედეით, არ ამტკიცებენ შენი ბროში-

1) იხ. „მოამბე“ № III, 1896 წ.
 *) ეს წერილი გადმოცემილია პატარა ბროშურიდან: „სულმნათი გაბრიელის საუნჯე“ და ვათავსებთ, როგორც დღესაც იხვევ საინტერესოს, როგორც ყოველთვის.

ურის თეორიას, არამედ ამის წინააღმდეგს. შვეიცარიას უჩვენებ და იტყვი, რომ აქ სამი ენა არის და ამისათვის ერთი მკვიდრი სახელმწიფო არ არის.

შვეიცარია დაღ მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო არის. ანუ ფედერაციის რესპუბლიკას შენ სახელმწიფოდ არა სთვლი!? ნუ თუ მარტო მონარხია არის მკვიდრი და მაგარი სახელმწიფო და რესპუბლიკა კი არა? ვკოხებ, შვეიცარიისთანა განათლებულნი, მაგარი ერთობით, თანხმობით სავსე სახელმწიფო არც კი არას მთელ ევროპაში. მართლაც, ავსტრია, რომელსაც შენ მოაუვან შემდგომ შვეიცარიის მაგალითად, თითქმის შენ აზრს ამართლებს; ავსტრიაში სამი თესლია ანუ ენა: ნემეცური, მაღარიული, სლავიანური; ერთმანეთში უთანხმოდ და სიძულვილით სტორობენ, მაგრამ აქ ენების განსხვავება არაფერ შუაში არის, არამედ სხვანი ისტორიული მიზეზნი და გარემოებანი. შემოხსენებული სამი თესლი მახლობელ დროებაში შეადგენდნენ სამთა მძლავრთა სახელმწიფოთა. მერმე, ხელაგნებით და არა ბუნებითის წესით იქმნენ შეერთებულნი ერთ სახელმწიფოს ქვეშ. საუბედურათ, მათ მმართველობა სწორის სამართლით (равноправно) არ ეპურობა უველა თესლებს; ნემეცები და მაღარები ავიწროებენ ჩხებებს და სხვა სლავიანებთ; ბოლას ერთმანეთშიდან აქვთ შური და სტდილობენ მოაზროვნ უბარატისობა. (გეგემონია). ამ მიზეზებით და არა ენის განსხვავებით არის ავსტრიაში არეულობა და შფოთი... ისტორია, მართლაც, ახსენებს მრავალთა თესლთა და ენათა, რომელნიც თათქმის განქარდნ ისტორიული ასპარეზიდან, მაგრამ რა იყო ამის მიზეზი? ძალადობა, მტრისაგან შევიწროება, იძულება, ამოწვევა! თუ ამ სახით ენის მოსმობას უწადებთ თქვენი ისტორიულ განონად და წესად, მაშინ წინააღმდეგს ვერავინ დაგიმტკიცებს. ამ სახით მოაზროვნა გადღიგობის თესლი და ენა, რომელთაც შენ ახსენებ წიგნიში. გაღლიები ნახევარი ამოწვევით და ნახევარი ნახევარი ფრანგებმა გაიფუტ მაგრამ, ამბობენ, რომ ფრანციაში, ე. ი. ნორმანდის მრავინციაში ახლაც არიან დანარჩენ მათის თესლისა, კელტები, რომელთაც შენახული აქვთ მათი ძველი ენა. რადგან სიტყვა ფრანციას შეეხო, აქა, ერთი შესანიშნავი ჩვენი საგნის ასახსნელად ფაქტი: სუველანი ამბობენ, რომ ფრანციისთანა ერთ გვაროვანი და ერთგვანი სახელმწიფო არ არის ევროპაში, მაგრამ იქაც, სამხრეთის მხრით ისპანიის სამძღვრებთან, ახლაც სტორობს ერთი ძველი იმ ერის დანარჩენი ხალხი, სახელად ბასკი რომელიც ახლაც თავის ძველ ენას ხმარობს. ასეუ რომა მათ სასამართლოში ფრანგი შეთანგმნე უნდება. გასინჯე, რომა ევროპის პირველმა ენამ ვერ მოსმობ „ბასკების“ ველურა ძველი ენა, რომელსაც

ხმარობს ერთი მუკა ხალხი ორი ათასი წლის განმავლობაში! რისც შენ ამბობ შეორე ნაწილში შენი ბრძოლისა, იმაზედ, რომ მცირე ხალხისთვის მიუგებელი საჭიროება და სარგებლობა არის შეერთება დიდ ხალხთან, მისი ენის სწავლა, მისი ენით მიღებული განათლებისა, ეს უოველივე დაღ მატოსანი და ჭეშმარიტია, თუ გინდა ბუნების წესი და კანონი არის: ბუნებაში უოველივე ერთ სუსტი და მცირე ეძიებს შეერთებას და გაძლიერებას უღონიერების და უძლიერების შემწეობითა.

სხვა საბუთა და დამტკიცება, რომ არ იყოს ამ აზრისა, მარტო ჩვენ, ქართველთა მაგალითი და გარემოება ცხადთ ჭეოფს ამას. ჩვენი ხალხი და ქვეყანა რომ არ შეერთებულა ილიერის რუსეთის ხელმწიფის ხელში, ახლა ჩვენ შთანთქმული ვიქნებოდით მაჰმადიანთა სიბნელებაში.

ამის წინააღმდეგს ვინ იტყვის, კარდა ჭეოთ დაბნელებულთა? თუ, მართლაც, ბუნებას ასეთი წესი და კანონი აქვს ღვთისაგან მიცემული, რომ მცირე ხალხის ენა და თესლი უთუოდ უნდა შთანთქმული იქმნას დიდი ხალხისაგან, — კურთხეულ არს დიდი და მოწყაღე ღმერთი, რომელმა არ დაანება ჩვენი ტომი შთანთქმად თათრებთ და ეიზილობაშებთა, წეუელთა და შეჩვენებულთა (იმათ ეკლენი სტანჯეს, აწვაღეს და გარევენს ჩვენი უბედური მამები, რომ შემენლობა მათი დაწეულა). შეერთება (слияние) სხვა არის და შთანთქმა სხვა. უოველითრით შეიძლება შეერთდეს მცირე ხალხი დიდთან: სუღით, გულით, აზრით, ინტერესებით; მაგრამ მისი ენის მოსმობა არ შეძლება და არც არაფერს დაუშავებს, ანუ დაუძლის ენა ამ ერთობას. შენ ამბობ, რომ მცირე ხალხი თავისი ღარიბი ენის საშუალებით ვერ მიიღებს ცივილიზაციას. განა არ შეიძლება, რომ დიდი ხალხის ენით მიიღოს კაცმა სწავლა და განათლება და მისი ენაც არ დაივიწყოს? რა დაგიძაღა შენ ქართული ენის ცოდნამ? დიდი განათლება მაინც მივიღია რუსული, ფრანციული და სხვა ენათა საშუალებით და შენი ენაც არ დაგიკარგავს. ამ სახით იქცევიან უოველნი პირნი, დიდი განათლების მამიებელი. ხალხის ხალხთან ერთობა (слияние) მარტო ენით არ მოხდება და არც დაბრკოლებს; ამის გვიტკიცებს ისტორია ცხადთ. ენაზე უდიდესი არიან სხვანი კავშირნი, რომელნიც შეერთებენ უფრო მაგრათ ხალხთა და ტომთა: კაცისა შინაგანი გრძნობა, და ხალხის „აზრი“, ხასიათი ენაზე უდიდესნი არიან. ენა არის მხოლოდ მათი გამომტქმელი, გარეგანი სახე; თუ სიფარული, ნდობა, ინტერესების ერთობა არ შეაკავშირებს კაცს კაცთან, ხალხს ხალხთან, ენა იქ ვერაფერს იქმნს; და სუველა ერთად ამათზე

უდიდესნი ბურჟი გაუწივითე კავშირისა ხალხთა შორის, ჩემის აზრით, არის სჯულის აღსარება. თუ ერთი სჯული და აღსარება აქვს ორ შეერთებულ ხალხს, ამას შემტკიცესი კავშირი სხვა აღარ იქნება მათ შორის. შენი ბრძოლის აზრს, თუ უკაცრავად არ ვიქნები ამის თქმით, ის აგებს, რომ იგი არის გამოთქმული კატეგორიულად (категорически), ანუ აქსიომის მსგავსად (какъ аксіома), ე. ი. არ აქვს განსაზღვრება. აქსიომები მართლ მათემატიკაში არიან მისაღები, ისტორიაში და ფილოსოფიაში ძნელად მოიპოვებიან ისინი. მართლდა, პირველად მცირე ხალხები სხვა და სხვა ხაზით არიან. მათშიდაც დიდი განსხვავება არის ჩვენ, ქართველები და სომეხნი მცირე ხალხნი ვართ ერთი მხრით; მეორე მხრით, — აფხაზნი, ოსნი, ლეკნი ანუ, ვსთქვათ, რესეთში — მარდუა, ჩერქმისი და სხვანი მცირე ხალხნი არიან, მაგრამ ნუ თუ ორივე ამ ჯგუფის (группа) ხალხზე ერთი და იგივე ითქმის შესახებ მათი ენისა!..

მეორე ჯგუფის ენები არიან უკიდურესად მართლადარიბნი; მათი ენით არა ერთი განუყენებელი (отвѣ-
ченное) აზრი არ გამოითქმის; ახბანი და შვიგობრობა მათ არა აქვსთ, ლიტერატურა მათ უმეტესად; ისტორიული თავის ცნობა (историческое самосознание) მათ არა აქვსთ, ერთი სიტყვით, არა ერთი ელემენტი არა აქვს მათ ენას მუდგულობისა ანუ არსებობისა. ამისთანა ხალხებზე მართლ რომ გუაქვას ის აზრი შენი, მაშინ არ გაუძნელდებოდა კიდევ კაცის ცონებას მიღება მისი. მაგრამ ქართულს, სომხურს და ამათ მსგავსთა ენათაც ზედაც თუ გააგრძელე ის შენი აზრი, მაშინ არაუინ არ შეიწინარებს მას. ქართველის და სომეხების ენანი, თუმცა მცირე ხალხის ენანი არიან, მაგრამ არა დარიბნი; იმ ენებს აქვს შვიგობრობა, ლიტერატურა, საღმრთო წერილი და მრავალი წმინდა მამათა ნაწერები და ხათარგმნი; ამ ორ ენაზე უოველი შეცნაერება და აზრი გამოითქმის, მათ აქვსთ ორი ათასი წლის მეტი ისტორია, ისინი იყვნენ ოდესმე თვით მდგომარეხა სახელმწიფონი. ერთი სიტყვით აქვთ მათ უოველი ელემენტი არსებობისა და სიცოცხლისა. ამისათვის მათი განქარვება ძნელად სათქმელელია, შეუძლებელია და წარმოუდგენელია. მეორე განსაზღვრება ის უნდა მიგეცა შენი აზრისათვის, რომ შესაძლებელია და მრავალ გზით მომხდარა მცირე ხალხის ენის შეერთება, ანუ უმჯობესად გადასულა მის ერთ გვაროვანის, მაგრამ განსხვავებულის დიდი ხალხის ენასთან, მაგალითებრ: მოლორესიულის დიდ რუსულ ენასთან, მეგრული ენის ქართულთან და სხვა, მაგრამ ეს იქნა ენის გადაკეთება და არა განქარვება, თვით ზღაპური, ბოღკარული, ჩეხული, გალდი, ჩინური და

სხვანი სლავიანების ენები რომ გადაკეთდნ რუსულ ენათ, ეს განსაკვირვალა არ იქნება. მაგრამ, მე დარწმუნებელი ვარ, ამისთანა მოკლენაც ძვირათ მოხდება. უფრო შესაძლებელია უფრო ხშირად ამის წინააღმდეგი მომხდარა: ე. ი. ერთი ძირი დედა ენისა მრავალმეტყველო განუო-
ფილია. გარნა ორი სრულიად სხვა და სხვა გვარის ენა შეერთდეს, თან მცირე ან მცირე ხალხი სრულიად სხვა გვარის ენა რომ თავის-თავად, გარეშე უოველისა იძულები-
ბისა, განქარდეს და მის მაგივრად სრულიად სხვა გვარის ენა რომ მიიღოს, რაც გინდა მცირე უნდა იქონს ხალხი, ეს შეუძლებელია. მომეტებული დენენტრალიზაციაც არ არის კარგი, მაგრამ ისევ ის სჯობია პირველს, ე. ი. ცენტრალიზაციას. ამისათვის, მე მგონია, მავნებელი იქნება ისიც, რომ ენები მცირე ხალხებისა სულ განქარდეს და დიდი ხალხებისა დარჩეს. შესაშე განსაზღვრება ის უნდა მიგეცა შენი აზრულებისათვის, რომ მცირე ხალხში უოველი დაწინაურებულები ხარნი: თავად-აზნურნი, სამღვდელონი ხშირად ივიწეებენ თავის ენას და დიდი ხალხის ენას მიიღებენ და არა მთელი ხალხის მასლით (массою) ან რა სახით შეიძლება ეს? ავიღოთ ერთი სოფელი, მაგალითებრ დიდში, ანუ კუდაში იმერეთში: აქ გლეხი კაცი და ქალი დაიბადება, ატარებს სიცოცხლეს თავის ოჯახში თავის ენით, ასში ერთხელ ვერ გაიგონებს სხვა ენას; რა სახით დაივიწყებს ის მის ენას? სკოლები მოაშლეუნიებენ მას ენას? სკოლა სოფლისა ვერასოდეს ვერ იმოქმედებს ისე, რომ თავისი ენა დაივიწყოს აღამანს. სხვა არის, როდესაც დიშნაზიაში, აკადემიაში, უნივერსიტეტში ისწავლის კაცი, მაშინ ხშირად დაივიწყებს თავის ენას; მაგრამ ამისთანა მადლიანი სასწავლებლები არაოდეს არ უოფილია მთელი ხალხისათვის გახსნილნი, არამედ ათასში ერთისათვის მე მგონია, რადგნაც შენ იურისტი ხარ და ცონება უოველთვის გართული გაქვს დიდი სამოქალაქო საქმეებში, ამისათვის ნამეტანი ფინელი იდეალი (идеаль) შეგიუენებია სახელმწიფოს მკვიდრობაზე და სიმაგრეზე. ამ შემთხვევაში შენზედაც ითქმის ის ანაზა, რომელსაც ამბობენ შენებრ ფიცხელ იურისტებზე: „pereat mundus, fiat iustitia,“ ქვეყანა დაიქვს, ოღონდ სამართალი კი შესრულდეს. ქვეყანა თუ დაიქვა, სამართალი ვისასთვის იქნება საჭირო? შენც ერთი მხრით ასეთ ამბობ. სულ უვულა მცირე ხალხის ენები განქარდეს, მხოლოდ სახელმწიფო გამაგრდეს. მაგრამ საქმე ის არის, რომ სახელმწიფო ვერ გამაგრდება. თუ კიდევ უკაცრავად არ ვიქნები ამ კითხვაზე, წაგიკითხვას თუ არა უცხო ფილოსოფოსის დეონ სტიურატ მილდის (Джона Стюарата Милля) იხზულება თავისუფლებაზე (о свободѣ), შესაშე თავი, სადაც ის უცხოთ მტკიცებსა

რომ ინდივიდუალობა (ИНДИВИДУАЛЬНОСТЬ). კ. ი. უაგელი საკუთარი განმარტებით თვისება, ხასიათი საჭირონი არიან უაგელი კაცისა (მაშასადამე ხალხისათვის) კეთილ-მდგომარეობისათვის და ბედნიერებისათვის, ხალხის ინდივიდუალობის უმთავრესი ელემენტი არის ენა, მაშასადამე ისიც საჭირო არის ხალხის ბედნიერებისათვის, თუ ეს ასე არის, მაშინ ენის გამოცვლა არც მცირე ხალხს არცებს, არც დიდი ხალხისათვის, რომლის ენას მცირე ხალხი მიიღებს, არის სასურველი. მცირე ხალხი რომ შეერთდეს დიდ ხალხთან, რამე მცირე მაინც თავისი საკუთარი კარგი ელემენტი უნდა შეიტანოს და დაუმატოს დიდ ხალხს; წინააღმდეგ შემთხვევაში დიდ ხალხს უსარგებლო ტვირთი დაეძება კისერზე; როგორც რომ კარგ მუშა მშრომელს აჯახს ეშველას უღონო ზარმაცი კაცი, არაფერს სარგებლობას არ მოუტანს, გარდა იმისა, რომ აჯახის ნათელად ჰურს შეჭამს. მცირე ხალხი მოკლებული თავის ენასა—იქნება მოკლებული უაგელი ინდივიდუალური ხასიათის თვისებათა და უსარგებლო იქნება თავისთვისაც და სხვისთვისაც, როგორც კერძო შირი, არა მქონსა შირადი თვით-მდგომარეობისა (ЛИЧНОЙ САМОСОСТОЯТЕЛЬНОСТИ) ვერაფერ კეთილ და სასარგებლო საქმეს ვერ იქმს.

ამ ჩვენ ურთი-ერთშარის მიწერ-მოწერას, ვგონებ, შენ არ აძლევ არაფითარ პოლიტიკურ მნიშვნელობასა, ვითარცა შენ არ ვხედავ მასშინა სხვა არაფერს, მხოლოდ ერთ სამეცნიერო ისტორიულ საგანზე ბასსა. ახლა ისეთი დრო დაგვიდგა, თვით უბრალო შეგობრულ ლაზარაკშიაც ეძიებენ ზოგიერთნი შარნი პოლიტიკურ განზრახვას; ამისათვის დაუთვალე საჭიროდ ამისი თქმა. ბოლოს ერთ ბოდიშს კიდევ მოგიხდის: გრძელი წერილით თავი შეგაწვიანე: მაგრამ ისეთ საგანზე ვლაზარაკობ, რომელიც შენ გიუფარს, რომელზე ბასი არ მოგწვიინდება ამისათვის ვხედავ გრძელი წერილის მოწერას, უკაცრავად ვარ აგრეთვე, რომ ცუდი ხელით ნაწერი არის ეს ჩემი წერილი.

შენი ერთგული და სიპარლის მსურველი
მაბრიელი, ეპისკოპოსი იმერეთისა.

ქ. ქუთაისი, 21 ნოემბერი 1872 წელი.

წერილი რედ. მიმართ

„კლდის“ პირველი თიბათვის ნომერში მოთავსებული იყო წერილი „რა ხდება სათავად-აზნაურო გიმნაზიაში“. ამ წერილის თითქმის სამი მეოთხედი შეიცავს კრიტიკას, რომელიც მიმართულია მასწავ-

ლებელ გ. ნათაძის სიტყვის წინააღმდეგ, რომელიც მან წარმოსთქვა გიმნაზიის საზოგადო კრებაზე საკითხის შესახებ, მიეცეს მშობელთა წრის წარმომადგენლებს გადამწყვეტი ხმა პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე თუ არა.

როგორც ეტყობა ამ ჟურნალის წარმომადგენელს ვერ გაუგია, ბ. ნათაძე თავის აზრს გამოსთქვამდა და ასაბუთებდა საზოგადო კრებაზე, თუ პედაგოგიურ საბჭოს უმრავლესობისას. მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს გამოვაცხადო, რომ ნათაძე პედაგოგიურ საბჭოში ამ საკითხის გამო ემხრობოდა იმ აზრს, რომ საჭიროა მიენიჭოს მშობელთა წრის წარმომადგენელთ გადამწყვეტი ხმა პედაგოგებთან ერთად ყველა საკითხებში, გარდა სპეციალური რომელიმე საკითხისა. თუ ნათაძე გამოვიდა საზოგადო კრებაზე, ეგ მხოლოდ იმისთვის, რომ განემარტა, რითი ხელმძღვანელობდა უმრავლესობა, როდესაც უარს ეუბნებოდა მშობლებს გადამწყვეტ ხმაზე. ამასთანავე, რადგანაც ამნაირად გადამწყვეტილობა საკითხში პედაგოგების მიერ ისეთი მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადო კრებაზე, რამდენიმე მასწავლებელმა ნათაძესთან ერთად საჭიროდ დაინახეს გამოეცხადებინათ საზოგადო კრებაზე, რომ თითქმის ნახევარი შემადგენლობა (ცხრა ხმა რვის წინააღმდეგ) პედაგოგიურ საბჭოში მომხრე იყო, რომ მშობელთა წრეს პქონიყო გადამწყვეტი ხმის უფლება პედ. საბჭოს კრებებზე. თუ რამდენად ნაყოფიერად და სასარგებლოდ სთვლის ნათაძე მშობელთა და პედაგოგთა ხელი-ხელ ჩაქიდულ მუშაობას, ამაზე მე გგონია თვით მშობელთა წრეც შეამოწმებს, რადგანაც ძალიან კარგად იცნობს იგი ნათაძის შეხედულებას წრეზე, რომელთანაც მთელი წელიწადი შრომობდა დაუღალავად.

ქართ. გიმნ. მასწავლებელი დავ. პარკაძე.
(სახ. ფურც.“)

მოწყალეო ხელმწიფევ. ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ, თქვენ პატივცემულ ჟურნალში დაუთმოთ ადგილი შემდეგ შენიშვნას.

თქვენი ჟურნალის 22 ნომერში დაბეჭდილია წერილი თბილისის ქართულ გიმნაზიის მდგომარეობის შესახებ. ამ წერილის პირველი ნახევარი დაფუძნებულია ვითომდა ჩემ მიერ ნათქვამ სიტყვებზე, ხეშო აღნიშნულ სასწავლებლის მზრუნველ საზოგადოების კრებაზედ.

ნამდვილად კი მე ის სიტყვები, რომელსაც თქვენი რეცენზენტი მაწერს, არ მითქვამს. პირიქით იმ საკითხის შესახებ, მიეცეს თუ არა გადამწყვეტი

ხმა მშობელთა წრის წევრებს პედაგოგიურ საბჭოში, მე ვსთქვი დაახლოვებით შემდეგი: „ექვი, ვითომდა პედაგოგიურ საბჭოს ეშინოდეს მშობელთა კონტროლისა, უსაფუძვლოა, რადგანაც გიმნაზიას ისედაც მრავალი მეთვალყურე ჰყავს... ისე რომ საბჭო კონტროლს არ გაუბრძის. ვინ არ იცის, რომ ეხლა თითქმის მთელ რუსეთში აქვთ გადაწყვეტი ხმა მშობლებს? მაგრამ არის საკითხები, რომელთა გადაწყვეტაშიც მშობელთა წრის წევრების მიერ მონაწილეობის მიღება გადაწყვეტი ხმით უხერხულია. ასეთია საკითხები მოსწავლეების ცოდნის დაფასების და მათ კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ... დანარჩენ საკითხებში, რა თქმა უნდა, მშობლებმაც უნდა მიიღონ მონაწილეობა. (სიტყვა სიტყვით: по другимъ же вопросамъ пожалуйста, милости просимъ!)*) რაც შეეხება იმას, თუ რად გადასწყდა ეს საკითხი საპედაგოგიო საბჭოში მშობელთათვის არასასურველად, ეს აიხსნება შემდეგით“... ამის შემდეგ მე ვეცადე ამეხსნა პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილება და სხვა და სხვა მოსაზრებით შემემსლბუქებინა ის ბრალი, რომელსაც მას სდებდნენ საზოგადოების წევრნი. სხვათაშორის გამოვსთქვი ის აზრი, რომ პედაგოგიურ საბჭოში, შესაძლოა, სულ სხვა-

ნაირად გადაწყვეტილიყო ეს საკითხი, მისი სხვა და სხვა გრადაციების განხილვა რომ დაენიშნა კომიტეტს კრების საგნად. (შემდეგ გავიგე, რომ მშობელთა წრეს არა ექნებოდა რა წინააღმდეგი, სულ სამი ხმა რომ მიეცათ მათთვის გადაწყვეტი) „ეს იქიდანაცა სჩანს,“ განვაგრძე მე შემდეგით, რომ იმ სახითაც კი, რა სახითაც საკითხი დასმულ იქმნა, სულ ერთი ხმის უმეტესობით იქმნა იგი უარყოფილი: მისი მომხრე იყო 8, წინააღმდეგი 9.“ (ეს უკანასკნელი ფაქტი მე გამოვამჟღავნე და თქვენ ჟურნალში კი სწერია: „ეს ჩვენ შემდეგ გავიგეთო“.)

აი ჩემი სიტყვები. შეიძლება, მიზანს ვერ მივალწიე; ვერ შევსძელ პედაგოგიურ საბჭოს „დანაშაულის“ შემსუბუქება, მაგრამ მაინც აქედან ის არა სჩანს, რომ მე მშობელთა წრის გადაწყვეტი ხმის წინააღმდეგი ვყოფილიყავ ყოველივე სახით და ყოველსავე საკითხში.

სრულის პატივისცემით გ. ნათაძე.

სიამოვნებით ვათავსებთ ამ წერილებს, რომ მკითხველმა თითონ გამოარკვიოს სინამდვილე და ის მიხვდეს, რომელმაც შეცდომაში ტყიყვანა ჩვენი წარმომადგენელი: მოწინააღმდეგეს აზრის გამართლება, ყოველთვის ასეთ უხერხულ მდგომარეობა-სა ჰქმნის.

რედ.

რედაქტორ გამომცემელი
რ. გ. ბაშვილი.

გ. ნ.

1894 წლიდან **=====** 1914 წლამდის

ს ა უ კ ე თ ე ს ო ღ ვ ი ნ ო დ ი თ გ ლ ე ბ ა ღ ვ ი ნ ო

===== საზოგადოება „კ ა ს ე თ ი“-სა **=====**

ტელეფონი:
№ 73 და 3-51.

თბილისი: გოგოლის ქუჩა 63
და ერევნის მოედანი.

განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენტში, მოსკოვში, ბათომში, რასტოვში და სხ.

ელექტრო-მბეჭდავი სტამბა ს. ლოსაბერიძისა, მოსკოვის ქუჩა 5

